სამშობლო

სამშაბათი
1 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. [illegible] **ტიბით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანა [illegible] 10 კ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 298 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 298

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის
ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე

ქ. ქუთაისი. **წელიწადი მეორე.** ქ. ქუთაისი.

გაზეთი გამოვა

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

ფოტინე ლაზარის ასული სვანიშვილისა, მიხეილ დიანოსის ძე სვანიშვილი, ფარნაოზ მახარბელის ძე და ივანე ზაალის ძე სვანიშვილები გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ, ვინც პირადი დასწრებით, წერილობით, თუ დეპეშით პატივისცეს და ანუგეშეს პირველი საყვარელი მეუღლის, მეორე ძვირფას მამის, მესამე საყვარელი ძმის, ხოლო უკანასკნელი დაუვიწყარი ბიძის

დიანოზ მახარბელის ძე სვანიშვილის

გარდაცვალების გამო.

იასონ გაბაშვილი და მეუღლე მისი თამარ სვანიძის ასული გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 2 მარტს, საღამოს 6საათზე, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის ქ. ახსაბადში მძვირფასი დედის

დარია პავლეს ასულის გაბაშვილის

68 სულის მოსახსენებლათ. 1—1

ს./ს. ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

მივიღეთ ცნობილი აბრეშუმის თესლი
ხ. ხრისტოდულიდის.

მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის.
თ. დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

ქალაქი ქუთაისი **ანონსი:** **ქალაქის თეატრი**

თბილისის ანსამბლის დრამის მსახიობთა მიერ

ქუთაისში დადგმული იქნება რამდენიმე პიესა. პირველი წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს, 3 მარტს, 1916 წ.

წარმოადგენენ ახალ სეზონის შემდეგ პიესებს:

ვერა მირცევისა

(სისხლის სამართლის საქმე).

არციბაშევის.

კანონი ველურისა.

კოტაში და პარლამუტრი.

გაზაფხულის სკრიპკები.

სისხლი გალახულისა.

1—1 რეჟისორი **ზ. არმაზოვი და ქ. ტაისკი.**

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი,

ორშაბათიდან, 29 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება

და ელოდება იგი მკაცრ სასამართლოებას.

დრამა ცხოვრების სინამდვილე ოთხ ნაწილად, რუსეთის გამოჩენილ მსახიობთა ჩერნოვის, მიჩურინისა, და ბარლოვის მონაწილეობით.

ინგლისის მეფე საფრანგეთში და ტრესი ხალასტიაკოვი.

11 კომიკური. თ.

შესასვლელი ბილეთების ფასი: **ლოჟა—85** კაპ. 1—75 კ. 2—50 კ. 3—30 კ. **მოსწავლეთათვის მეორე ალაგზე 30 კაპ. ჯარისკაცთათვის მესამე ალაგი—20 კაპ.**

64

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი

ორშაბათიდან, 29 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება:

დამსხვრეული ბორკილები.

(ბატისტის ხელსახოცი).

მეტად საყურადღებო დრამა ოთხ ნაწილად, ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით: ბუქსოვისა და გრილის.

ინგლისის მეფე საფრანგეთში. სასაცილო დრამა 2 ნაწ. რუდოლფისა და ჯიბეტის მონაწილეობით.

12 თ.

შესასვლელი ბილეთების ფასი: ლოჟა—85 კ. 1—75 კ. 2—50 კ. 3—30 კ.
მოსწავლეთათვის მეორე ალაგი 30 კ. ჯარისკაცთათვის მესამე ადგილი 20 კ.

ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

თავადი გიგო ივანეს ძე ერისთავი

სთხოვს ქუთაისის მაზრის თავად აზნაურობას, რათა დაესწრონ ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობის

ჩვეულებრივ კრებას,

რომელიც დანიშნულია 6 მარტს ამა 1916 წელს, 9 საათზე, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში სიების დასამტკიცებლათ და სხვა მორიგ საკითხების განსახილველათ.

ეს კრება დანიშნული იყო 31 იანვარს, მაგრამ კანონიერი რიცხვის გამოუცხადებლობის გამო არ შესდგა.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, პორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა,
3 ლორთქიფანიძის სახლი. თ

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე პუშკინისა დ. ბალახვანის ქ. კუთხე, სახ. № 3. თ. 11

ექიმი **ი. ხარიძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლვოვის ქუჩა,
1 ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევს 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი № 46
14 ტელეფონი № 87 თ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ. 2

უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

სადგ. კალკუნის გერმანელები ყუმბარებს უშენდა. სტრიპის ხაზზე რუსების არტილერია მარჯვეთ ესროდა გერმანელთა ბატარეებს.

კავკასიის ასპარეზი რუსეთის ჯარი წინსვლას განაგრძობს.

დასავლეთის ასპარეზი.

ვერზემონდესთან გერმანელები რუსების თხრილებს დიდი ყალიბის ყუმბარებს უშენდენ.

გალიციაში მდ. დნესტრზე რუსების მზვერავებმა გერმანელებისა და ავსტრიელების სანგრებს სროლა აუტეხეს. რუსთა ორი ნაღმოსანი დაზვერვის დროს გერმანელებმა შენიშნეს და სროლა აუტეხეს. ერთი ნაღმოსანი აფეთქებული იქნა.

კავკასიის ასპარეზი. სპარსეთში ბაღდადის მიმართულებით რუსებმა აიღეს ქ. კერინდი.

— —

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ოსმალეთში.

გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, რომ ოსმალები პალესტინიდან გავიდენ და სინაის უდაბნოში რკინის გზის გაყვანაც შეაჩერეს.

საბერძნეთის მთავრობა შეშფოთდა

რუმინიიდან მოსულმა სენსაციურმა ცნობამ, რომ იგი ნეიტრალიტეტს მალე დაარღვევს, საბერძნეთის მთავრობა ძალზე შეაშფოთა.

გერმანელ გენერლების თავგანწირვა

პარიზიდან იტყობინებიან, რომ ვერდენთან ბრძოლამ გერმანელთათვის საბედისწერო ხასიათი მიიღო, რაც იქიდანაც სჩანს, რომ გერმანიის ჯარის პოლკების წინამძღოლი გენერლები თავის წინანდელი წესის წინააღმდეგ ახლა რაზმს მართლაც წინ მიუძღვიან იერიშის დროს, რის გამოც ბევრი მათგანი ბრძოლის ველზე დაეცა. მათ შორის—ბავარელთა დივიზიის გენერალიც—ფონ-გრაფი. მოკლულია აგრეთვე გენერალ ლეიტენანტი ლიუტერერი.

დვინის ფრონტზე.

ტყვეების გადმოცემით დვინის ფრონტზე ბევრი ბულგარელი აფიცერი გადმოიყვანეს და მათ ნაცვლათ ბულგარეთის ფრონტზე სამაგიეროთ გერმანელი აფიცრები გაგზავნეს, რომ ბულგარეთის ჯარში გერმანული ელემენტი გაამრავლონ

ბალკანეთში.

გუშინ წინ სალონიკიდან იუწყებოდენ რომ ბალკანეთში მოპირდაპირეთა ლაშქარი ერთი მეორეს წინააღმდეგ ირაზმება, დღეს კოპენჰაგენიდან იტყობინებიან რომ სალონიკიდან მოსული ცნობებით გერმანიის და ავსტრიის ჯარები ფეცხლივ სტოვებენ ამ რაიონს და საფრანგეთის ფრონტისაკენ მიეშურებიანო. რომელ წყაროს დაენდოს და ვის დაუჯეროს კაცმა ამ საბედისწერო დროში, ძნელი გამოსაცნობია,

ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობა

ბუქარესტიდან სტამბოლში აუწყებენ. ენვერ-ფაშის ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა, იგი მინისტრთა საბჭოს სხდომას დაესწრო. გაზეთი „ვეჩერნეე ვრემია“ კი სწერს: „ათინიდან ლონდონში დეპეშით ატყობინებენ, რომ დაბეჯითებით ხმა გავრცელდა ენვერ ფაშა მოკლულიაო.

ტრაპიზონს საჩქაროთ ამაგრებენ.

სტამბოლიდან ბუქარესტში დეპეშით აუწყებენ: ფონდერ-გოლიც-ფაშა ტრაპიზონს გაეშურა, რომ იქ საჩქაროთ დაწყებულ სიმაგრეების აგების საქმეში ხელმძღვანელობა იკისროს.

ქრონიკა

რუსეთი.

სამკურნალო მცენარეების კულტურის გამო.

ამ დღეებში პრინც ოლდენბურგელის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული თათბირი სხდომები გაიხსნა, რომელსაც მიზნათ აქვს სამკურნალო მცენარეების კულ-

მსოფლიო ომი.

(დ ღ ი უ რ ი).

კავკასიისა და ოსმალეთ-სპარსეთის ასპარეზზე რუსის ჯარი კვლავ წინსვლას განაგრძობს: სპარსეთის რაიონში ქ. ქერმანშაჰიდან დასავლეთ-სამხრეთით ქ. კერენდო დაიკავა. ეს ქალაქი მდებარეობს ოსმალეთის საზღვრიდან ორასი ვერსის მოშორებით და ბაღდადისკენ მიმავალ გზაზე უმახლობელესი პუნქტია. ასე რომ რუსეთის ჯარი მესოპოტამიის დედაქალაქს ბაღდადს, ამ მთავარ საგრძნობელ პუნქტს სპარსეთის მხრიდან უახლოვდება.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ფრონტზე აქა-იქ ჩვეულებრივი შეტაკებები ხდებოდა: არც ერთი მხარე წინ არ წასულა, საყურადღებო რამ არაფერი მომხდარა.

საფრანგეთ—ბელგიისა და გერმანიის ფრონტზე ბრძოლამ უფრო საერთო ხასიათი მიიღო: ახლა ფრანგები ბევრ ალაგას ინიციატივას იჩენენ და გერმანელებს არტილერიის ცეცხლით უტევენ, თუმცა წინ არსად არ წასულან ვერდენთან დაწყებული გენერალური ბრძოლა კი სულ უფრო და უფრო გაძნელდა გართულდა. თუ ჰავასის დეპეშათა სააგენტოს დავუჯერებთ გერმანელებმა 24 თებერვლის შემდეგ წინ წასვლა ვერც ერთ პუნქტში ვერ მოახერხეს. სამი დღის უნაყოფო იერიშების შემდეგ ბრძოლა თითქო შენელდა, მაგრამ მერე ისევ ენერგიულად განაგრძობენ. ს. დუმინთან, ფორბოს ტყესთან, რომლის ერთი ნაწილის დაკავება უკვე მოახერხეს გერმანელებმა, ვოსთან, ვევრთან და მჟავრის სიმაღლეზე, ყველგან სცადეს იერიშები, მაგრამ ფრანგების არტილერიის ცეცხლს ვერსად ვერ უძლებდნენ და ძირს სცვივოდნენ. პარიზელთ იმედი მიეცათ, რომ გერმანელნი ვერდენის აღებას ვერ შესძლებენ. ის კი აშკარაა, რომ გერმანელები ბრძოლაზე ხელის აღებას და ამ რაიონში შეჩერებას სულაც არ ფიქრობენ, პირიქით სხვა პუნქტებში; რომ შეტევა შეწყვიტეს, აქ მეტი ენერგიით და თავდადებით იბრძვიან.

სხვა ფრონტებზე საყურადღებო ცვლილება არ მომხდარა; ზღვაზე ნაერის ახლო ნაპირებთან შავ ზღვაში რუსეთის ორ ნაღმოსანზე იერიში მიიტანეს გერმანიის წყალქვეშა ნავებმა. ერთი იმათგანი ააფეთქეს, ხოლო მეორე ხელიდან გაუსხლტათ.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ თავის ჯარს უბრძანა გადალახოს მექსიკის საზღვრები და იქ მოთარეშე ყაჩაღთა ბრბოები დასაჯოს. ჯარმა მექსიკის ტერიტორიის ერთი ნაწილი უკვე დაიკავა. სჩანს შეერთებული შტატების რესპუბლიკაც სამხედრო გუნებაზე დგება და მექსიკის ტერიტორიის ხელში ჩაგდება სწყურია.

ტურის და მათი გასაღების პირობების გასაუმჯობესებელი წესები და ზომები შეიმუშაოს.

კადეტთა პარტიის მოწოდება.

კადეტთა სიეზდმა რუსეთის ხალხისადმი შემდეგი ,,ხელიხელ საგოგმანები'' მოწოდება გამოსცა: რუსეთი შეიძლება ამ ჟამათ დიად ბრძოლის ახალ ფაზისში გადადის. ამიტომ ახლა უფრო ვიდრე ოდესმე საჭიროა შემოკრბენ ერთად ხალხის ძალები, რომ რუსეთმა გაიმარჯვოს.

მოქალაქენო! საყოყმანო და ასარჩევ არაფერია! არ შეიძლება, ვერ დავუშვებთ, რომ რუსეთმა თავისი ნაციონალური დანიშნულება არ შეასრულოს, რომ იგი ამ ბრძოლიდან დამცირებული, შეკვეცილი და გაქელილი გამოვიდეს. შეუძლებელია რომ დედამიწის პირიდან აღიგავოს ბელგია და სერბია, ხოლო პოლონეთი და ლიტვა გერმანიის ბრჭყალებში ჩარჩენ, რომ აწიოკებული ნავებ—ნატანჯი სომხეთი ისევ მისივე მტარვალებს უკანვე დაუბრუნდეს! მოქალაქენო! მტრის ჯეროვანი პასუხის გაცემის საქმე რუსეთის შინაგანი მოწყობის საქმესთან მჭიდროთ არის დაკავშირებული. აი ამ კავშირის შეგნებამ შეაერთა საზოგადოების ძალები და სახელმწიფო სათათბიროს წევრთა უმრავლესობა ამ კავშირის დაუბადა მისწრაფება, რომ ხალხში მოაწყონ მისივე ნება მტერზე გამარჯვებისა. მაგრამ ეს მხოლოთ მაშინ შეიძლება, როცა სახელმწიფოს მტკიცე გადაწყვეტილებას დავემყარებით. პარტია მიუწოდებს რუსეთის მოქალაქეთ, რომ მხნეობა განამტკიცონ და რუსეთის ხალხის მომავალი და ძალები სწამდეთ. დღეს, როცა რუსეთის მცველნი ომის საშინელებას თავგანწირულად ებრძვიან და ტეხნიკურ მოუმზადებლობას თავისი ვაჟკაცობით ავსებენ, როცა რუსეთის ჯართან ერთად მტრის წინააღმდეგ საზოგადოების ძალებიც აღიმართნენ, როცა მტერი მოიქანცა და ძალებისაგან იცლება, დეე განმტკიცდეს ჩვენში ნება, რომ მტერი ვსძლიოთ და დე რუსეთის ხალხის მტერზე გამარჯვებასთან ერთად რუსეთის ცხოვრებას შინაგან განახლების საათმაც დაჰკრას! ეს იქნება საყოველთაოდ ზეიმი საერთო თავისუფლებისა და უფლების!“

პრესის მაგიერ.

ქუთათურმა სოციალ-ფედერალისტებმა თავი გაიმათრახეს და მთელი თავისი „პრინციპიალური უპრინციპობა“ დაამტკიცეს. (იხ. „მეგობარი“ №121, მეთაური)

ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით ჩვენებურ ფედერალისტებზე, რომ მათ პირადი, ჯგუფური და, თუ გნებავთ, კასტიური გულის თქმა ამოქმედებდათ, მაგრამ თუ იმდენად დამცირდებოდნენ ამ კასტიურ გულღრძობით, რომ თავის საჯაროთ ნათქვამს დღეს უარყოფდნენ, ამას კი, მართალი მოგახსენოთ, ფედერალისტებიდანაც კი არ მოველოდით.

გატაცებული იმ ჟინით, რომ რამენაირათ დაკვამცირონ ნაციონალ-დემოკრატები, ხელს უწვდიან იმათ, ვისაც გუშინ თუ გუშინწინ „ქუჩის ხალხათ“ ნათლავდნენ და მათ უმთავრესს ხელმძღვანელს პროვოკატორს უწოდებენ.

როგორ შეხვდებიან ჩვენი ესდეკები ფედერალისტების ხელის გაწვდას ან ღირსეულათ დააფასებენ თუ არა მათ საქციელს, ეს, რასაკვირველია, მათი საქმეა, ხოლო ჩვენ კი ჩვენის მხრით ვეცდებით ახლო მომავალში დავამტკიცოთ, რომ ჩვენებური ფედერალისტები ტყვილათ ყოყლოჩინობენ და **ეროვნული** საკითხი მათ დააკნინეს, დააწვრილმანეს, ჯგუფურ ინტერესებზე დააბურდავეს და ამავე დროს სხვას კი უკიჟინებენ უპრაგრამობას.

ჩვენ მოვიყვანთ მთელ ისტორიას ფედერალისტების გაჩენისას ჩვენში და ამ ისტორიიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ ფედერალისტები ყოველთვის ორპირობდნენ და ორ სკამზე ისხდნენ.

„დაქექილს გატეხილი სჯობიაო“, ნათქვამია და დაე მკითხველმა გატეხილად დაინახოს ვის უფრო კარგი ეროვნული პროგრამა ჰქონია და რამდენად უღალატეს ფედერალისტებმა ეროვნულ იდეალს.

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

ამ დღეებში პეტროგრადში მოიწვიეს რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის ყრილობა- ყრილობაში, სხვათა შორის, მონაწილეობა მიიღო სათათბიროს თავმჯდომარემ თ-დმა როძიანკომ, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა სამხედრო სამრეწველო კომიტეტი მეტი ენერგიით მუშაობდეს არა მარტო სასროლ მასალების დასამზადებლათ, არამედ მებრძოლ ჯარის სხვა საჭირო საგნების დასამზადებლადაც. ჯარი უნდა დაახლოვებული იყოს მცხოვრებლებთან და საერთო სულიერი განწყობილება დამკვიდრდეს მათ შორის, რაც აუცილებელია გამარჯვების მისაღწევათ. თ-დმა ლვოვმა მოკლედ აღნიშნა ამ ომის მიმდინარეობაში სამხედრო სამრეწველო კომიტეტის მოღვაწეობა. გამოტანილ იქმნა რეზოლუცია სამხედრო ტყვეთა ექსპლოატაციის შესახებ, რომელთაც ამუშავებენ სხვა და სხვა ადგილს და სხვა და სხვა ადგილზე.

✦ შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება დაუგზავნა გუბერნატორებს, და ერობის წარმომადგენელთ, რომ მათ წელს ყოველი შესაძლო ზომა მიიღონ სასოფლო მეურნეობის. დასახმარებლად განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ომში მყოფთა ოჯახებს, მიაწოდონ მათ სათესლე და ხელი შეუწყონ მუშაობის დროს,

● ოფიციალური ბრძანება უმართებულეს სენატს.

იმპერიაში წესრიგის დასაცავად გამოცხადებულ იქნება საალყო წესები. წესები შეეხება კავკასიის სამეფისნაცვლოსაც.

✦ სათათბირომ მიიღო კანონ პროექტი სამხედრო მინისტრისა, რომ ის ახალ გაზრდანი, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ (1895 წ. დაბადებულნი) ამ ახლო მომავალში ჯარში გაიწვიონ. ვინც ოფიციალ გამწვევამდე თავის ნებით სამხედრო სასწავლებელში შევა, იგი ჩაირიცხება მოხალისეთ..

✦ რედაქციამ მიიღო ალმანახი „ახალი ცისკარი“ ახალგზრდათა გამოცემა, ალმანახი სუფთათ არის შედგენილი და ღირს 10 კაპ.

✦ რედაქციამ მიიღო აგრეთვე ალმანახი „ცისფერი ყანწები“ ალმანახი ძვირფასად არის გამოცემული, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ავღნიშნოთ რომ გარეგნული სიძვირფასე ალმანახისა სრულებით არ შეეფერება შინაარსს რის შეს[illegible] გაზეთში დაიბეჭდება შესაფე[illegible] ბიბლიოგრაფია.

● ქუთაისის ქა[illegible] კომისიამ დაადგ[illegible] სასწავლებელში დასტოვონ დროებით ლომინაძის ასული, ავადმყოფ ნ. ვ. გიორგაძის ნაცვლათ. ბ) ამ თვის დამლევს დანიშნოს ამ ადგილზე მთხოვნელ მასწავლებელთა სანიმუშო გაკვეთილები! გ) მე[illegible]ლი სკოლის მასწავლებელთა ჯამაგირები მიეცეს დასარიგებლათ სკოლის გამგეს თ. მაჰ ვარიანის ასულს დ) ეთხოვოს ქალაქის გამგეობას გამოიწეროს თბილისის საერო სკოლის მართველისაგან, სკოლის პროგრამა წლის შესანახი ხარჯთ აღრიცხვა, სწავლის ფულის რაოდენობა და სხ.

● ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართ თბილისის ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოებას გახსნას ს. მუხურში (ზუგ. მაზ.) ე. ნ. როდონავას პასუხისმგებლობით უფასო წიგნსაცავ სამკითხველო.

● ქუთაისის საგუბერნიო ექიმი სვა[illegible]ლი თანახმად მისი თხოვნისა, სამსახურიდან დაითხოვეს. მის თანამდებობას შეასრულებს ექიმი ტერტეროვი.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ უბნ ბოქაულებს მოწერილობა დაუგზავნა, რ თა ყველა ქუჩაზე სახლის მეპატრონეებმა გააკეთონ ქვა ფენილი.

● თბილისიდან დაბრუნდა ქალაქის ტეხნიკი გოგინავა, რომელმაც ჩამოიტ გაზის ასანთები ფარნების საჭირო მა ლები.

● კვირას, 28 თებერვალს, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადაიხადეს სათათ ბიროს დეპუტატათ ნამყოფის ვარლა ლევანის ძის გელოვანის სულის მოსახს ნებლათ წლის წირვა და პანაშვიდი.

● როგორც გადმოგვცეს, ქუთაის ქართულ გიმნაზიის მოწაფეს ი. ბერძ განუზრახავს გამოსცეს მოწაფეთათვ უბნის წიგნაკი „მოწაფის დღიური“ წი გნაკი დასურათებული იქნება და ახლო მომავალში გამოვა. წიგნი ეღირება ერ აბაზათ.

✦ მთავრობის განკარგულებით, უკვ შეუდგენ მდ. ცხენის წყალზე ბოგ ხიდის გაკეთებას.

● ქ. ოზურგეთის მცხოვრებს გერმან გოგიტიძეს მთავრობამ ნება დართო ოზურგეთში ააგოს ელექტრონის ს გური.

✶ უმაღლესათ დამტკიცებული ცი კულიარი დაეგზავნა გუბერნატორებ რომლის ძალითაც ჟანდარმია სამართ ლებისა პოლიციის მოხელეთ, რომელ

ვაჟა-ფშაველა.

(კრიტიკული წერილი).

(შემდეგი იხილე „სამშობლო“ 296 №)

იგი გუდამ ფოლადის ჭედვაშია, რკინა გუთნის საკვეთისთვის კი არა, არამედ მკვეთრი მახვილისათვის სჭირია, რათა ერთ რამისთვის იბრძოლოს და მხოლოდ ერთს რამეს შეეწიროს მსხვერპლად, ეს იმ ერთს რამეს, რომლის სახელიც „საქართველოს ბედის წერაა! მაზე ფიქრმა წელში გატეხა ჩვენი მგოსანი. ერთხანად უიმედობის ვულკანმაც კი იფეთქა მის ზღვა გულში. ეს მოხდა მაშინ, როდესაც სინამდვილეს ჩაუკვირდა და თვისი რომანტიული გატაცება ფრთა-შეკვეცილი დაანახა. ეს იყო ხანა ტრაგიკული კონფლიქტისა პოეტის ცხოვრებაში. იგი დარწმუნდა, რომ გმირნი, ვისაც იგი მუდამ უყიოდა, მხოლოდ ძველ რაინდთა აჩრდილნი არიან, რომ თანამედროვე თაობა მონობის უღელმა ნამდვილ „ლეშებად“ გარდაქმნა, რომელთაც კი, ვაჟას მოსწრებულ სიტყვით, თვით ფიქრიც კი „ლეშად“ ჰქცევიათ. განა ამ ხრწნილებაში მყოფს კიდევ ოცნებისა და იდეალის აღყვავებას უნდა ველოდეთ ასეთს წრეში? და აი, ჩვენი მგოსანიც მწუხარებით გვეკითხება:

„რა ჰქვიან ასეთს სიცოცხლეს?
რა ჰქვიან ასეთს ყოფას?“

მწუხარებამ უნუგეშობის ზვირთებში გადასტყორცნა. შესაძლებელია, და ეს ასედაც უნდა იყოს, რევოლიუციურმა ანარქიამ, ქართველი ერის პოლიტიკურმა დაქსაქსულობამ მიიყვანა მწარე დასკვნამდე, რომ ჩვენი თაობა ვერ ეღირსებოდა იმ თავისუფლებას, როგორსაც მგოსანი ეტრფოდა, მისი ოცნება რომანტიული გატაცებით წარმოდგენილი საქართველოს ეროვნული ღირსება ისევ შორეულს და ბუნდოვანს მომავალის ფურცლებზე დაიწერა. სამწუხარო და სავალალო მგოსნისათვის ის იყო, რომ იმ დროს, როდესაც თითოეული ქართველი, როგორც ცალკე აღებული ერთეული, რამ როგორც ინდივიდუმი „ყოვლისფერი იყო, საქართველო, როგორც მთლიანი რამ, სრულს არარაობას წარმოადგენდა, ქაოსის ბუდეს. აი, ამიტომაა, რომ იგი იერემიასებრ მოთქმას იწყებს და ნაღვლიან ჰანგით გვეუბნება:

„კუბოში ნადულის გულითა
არ მინდა ნათელს ვბედავდე,
მინდა სიბნელე გარს მერტყას,
მარტო ოცნებით ვჭვრეტავდე,
ჩემს გულის მომკვლელს საგანსა,
ფიქრებს ცრემლითა ვლებავდე“...

მთელს ამ ხანის პოეზიას აზის გულგატეხილ ადამიანის შთაბეჭდილების ბეჭედი. ვაჟა თანამედროვეთა შორის ყველაზე მძლავრად ჰგრძნობდა თავის საუკუნის აგონიას, როდესაც საუკუნოებით ნაშენი ეროვნული სიმდიდრე-დოვლათი თავდაქებით მტვრად იქცეოდა. სულიერი მისი ტანჯვა მის თანამოძმე ამირანისას წააგავს, უიმედოთ ხელის ფათურით დაეძებს რომანტიულ ლაბირინტის გასავალ კარს, მაგრამ ყოველი გზა დახშული ჰხვდება, არავინ არა სჩანს გზის მაჩვენებელი, ხმის გამცემი. აი, ამიტომ გვეუბნება უზომოდ დამწუხრებული მგოსანი!

„ვერ განუგეშებს ვერვინ
ვერც შვილი, ვერცა ტოლია;
აღარ მყავს, ისიც მომიკვდა
ძაღლი რომ მყავდა ბროლია;
ბრჭყალით ვუპყრივარ სევდასა,
როგორც არწივსა გნოლია,
შინ ზღვა არ მიშვებს ცრემლისა,
გარედ—ქარი და თოვლია,
და საიქიოს გმირთ რისხვა
სირცხვილი თანა მყოლია!“

დაუკვირდით ამ სიტყვებს: „გმირთ რისხვა სირცხვილი თანამყოლია!“ ხომ გესმით, რა ან რომელი შერცხვენაა, რომ ძველმა გმირებმა რისხვის საგნად გაიხადონ? „ბახტრიონის“ აღება!—აი მგოსნის სადარდებელი! სრული ინდიფერენტიზმი ჩვენის თავდადებული თაობისა მის ასაღებად,—აი ის უზომო სირცხვილი, რომლისაც ასე რიგად ეშინის ვაჟას.

„ვაფურთხებ, ვწყევლი უქნარსა
ამ დაჩნჩებულს ყოფასა!“—გვეუბნება გულგატეხილი მგოსანი.

ვაჟას რომანტიკა თანდათან უფსკრულისკენ მიექანებოდა. ეჭვით შეპყრობილმა მგოსანმა საბოლოოდ საქართველო წარმოიდგინა მიჯაჭულ ამირანის სახით, რომელსაც

„ხმალიც გვერდს უძევს, გოშიაც
ერთგულად უღრღნის რკინასა,
არც ხმალი მოდის მასთანა,—
ვერც თვითონ სწვდება იმასა!“

აი ეს გახლავთ ვაჟას სულის ტრაგედია, ესა ჰკლავს, რომ ეს დევგმირი ასე ახლოსაა ხსნასთან, ხმალს დავლება სჭირია მხოლოდ, მაგრამ იმავე დროს ჯაჭვით შებორკილი ფრიად შორსაა, დასტაცოს ხელი მახვილს და „ბახტრიონის“ ასაღებად გაიჭრას ველად! ორი უკიდურესი სარტყელი, ორი შეურიგებელი მდგომარეობა, ერთსა და იმავე დროს მიზანთან ასე ახლოს ყოფნა და ასე რიგად დაშორება, სანუკვარს იდეალისგან, ჭეშმარიტად, სათავე უნდა ყოფილიყო იმ უიმედობისა, რომლითაც მოცული გახლდათ, ამ დროს ვაჟას ამირანის სული! ხელფეხის შებოჭვა იმ დროს, როდესაც „ბახტიონი“ ციხე აუარებელს მსხვერპლს მოითხოვდა, ხმლის დაშორება, როდესაც მტერი თავზე რისხვის კაკალს ამტვრევდა, განა სამართლიანად არ ამოაკვნესებდა მგოსანს:

აი, ამ გარემოებამ წამოაძახებინა დანაკლებ სევდიანი მხილება ზეცისადმი:

„როდემდის უნდა, არ ვიცი
ჩემს ხორცს კბილითა ვჰნეტდე!
„საით და როგორ ვეშმოთ
ნეტავ უხმლონი ხელითა!*)“

ამიერიდან მისთვის ყოველი იმედი სხივ ჩამქრალია. ვეღარაფერი ვერ ანუგეშებს. მისთვის ეხლა სულ ერთია „ამოვა მზე თუ არა“—იცის, რომ მის სევდ ს ვერასფერი ვერ წარხოცავს, ვერავითარი მზე ვერ გაუთბობს დამზრალს იმედს, ისიც იცის, რომ „დაჭრილი სამშობლო“ უპატრონოდ, ასე ყვავ ყორნების საჯიჯგნად უნდა დარჩეს ეულად ველზე, მაგრამ... სწორედ ამ დროს იგი მიეცემა ზეკაცურს ძალას, რომ მწუხარებას თვითვე ჩაუკლას პირი. აი, ამ დროს ვაჟას და ბიბლიურ გმირ გოლიათის დამაარსებელ დავითის შუა არის ერთგვარი ფრიად დამახასიათებელი მსგავსება, რასაც არ შეიძლება ადამიანმა ყურადღება არ მიაქციოს, როგორც დავითმა პირველ ამბის გაგონებაზე თუ რა უბედურება შეემთხვევა საულს, მოჰყვა ქვითინს, შემდეგ მწუხარებას იგი მისმა ნაზმა პოეტურმა სულმა უმშვენიერეს ელეგიად მოჰხაზა და დაიჩივლა:

„ჰოი იზრაილ, შენი მშვენება დაილუპა შენს მწვერვალებზე! ვითარ დაეცა უძლეველი! აჰა ნურას უამბობთ გეფში, ნუ შეატყობინებთ ამ ამბავს ასკოლინის ქუჩებზე, რათა ფილისტიმელთა ქალწულებმა არ განიხარონ და ურწმუნო მტერმან ჩვენმან არ გამართოს დღესასწაული“, ისე ვაჟა საქართველოს შვილთა მიერ ზურგის შექცევამ მშობლის წინაშე ფრიად დაამწუხრა და არაჩვეულებრივ მშვენიერებით აღვსილი ელეგიით დაიღიღინა: ნუ მომაგონებთ ასეთსა ამბავს, ჰოლ რას ნუ მირცხვენთ, ამ ამბავს ნუ გაახმაურებთ რომ მტერმან არ განიხაროსო და ბოლოს რაინდულათ გვეუბნება:

,,გადავამიჯნებ თამამად
როსტომივითა მთა-ბარსა,
თორემ მტერს ასეთი ყოფნა,—
რომ კაცი გრძნობდეს მკვდრობასა,
სწყევლიდეს ბედის ვარსკვლავსა,
თავის დღეს, თავის შობასა,
იწვევდეს, ვერ უდგებოდეს
გულზე ლოდების წყობასა!“*)

ამნაირად, ვაჟა ჯერ კიდევ შორსაა სიურს სიკვდილზე ხელი მოაწეროს. რ ბრძანებაა!

მაშინ რაღაი ვაჟა იქნებოდა, რ „რკინის მკვნეტელი“ მთის არწივი იქ ბოდა, თუ კოლეგიონ მელანქოლიკ სიაში ჩაეწერებოდა! ლომგული მწუხარებაშიც დევ-გმირია. იგი იმ წრ პინა მოშაირეებს არა ჰგავს, რომელნ დოლცინიათა უბრალო გათამაშება-ტ ჩის აკვრაზე და გაპუტვა-თუთიყუშურ კაპრიზებზე უმალვე ყურებს ჩამოჰყრი და ჰამლეტის მანტია მოსხმულნი მოუწ დებენ ჯოჯოხეთის დამწვარ გულის ხმ ფერფლად. ეს კი საკმარისია, რომ სი რძნის შადრევანმა აღმოჰხეთქოს და დ წუხრებულმა მიჯნურებმა მორთონ მ ფლიო გოდების ფილოსოფია, ვით კოსმოსი არადა შლიის, იგი ერთადერთ დაუსრულებელი ქაოსია, სადაც ტება, სიკეთეზე იმარჯვებს, სადაც მახინჯი არიმანი თავპირის მტვრევით გ დმოსტყორცნის ორმუზდს და ჯოჯოხეთ ში უკრავს თავსა. რატომ? როგორ რატომ. დულცინიამ უღალატა... ან შე ძლება დულცინიას სურდა შეცვლა, დუ შემთხვევაში შესაძლებელია დულ ცინიის „ოქროსფერს“ ოქროს თით მახინჯი გაუჩნდა ანდა... მოხდა ისეთ უბედურება, რომ „მისდამი მისართმევ ხელთათმანს, გესმით, დულცინიასად მისაძღვნელი ხელთათმანი დაეკარგა... დილი... ხელთათმანის ლილი ხომ მოეგ ლით ღირებულების დაკარგვის თანაწ რია! არა, ღმერთმა აშოროს ვაჟას ასეთ „გულდამწყვეტ“ დანაკარგისთვის ცრემ ლების ფრქვევა! მისი პესიმიზმი ჯანსაღ პესიმიზმია, იგი თვით სიცოცხლის ძახ ლი გახლავთ, დაუშრეტელი ენერგი მორევა, ამირნის გულ-მკერდის ვულკან სეული ბუმბერაზი ტოკვა, რომ თვ ჯოჯოხეთიც კი შეაძრწუნოს და სტ ონ ს რახტს ელვის რახტივე ზოას. აი, საუცხოვო ნიმუში

---

*) იხ. „ცრემლები“ გვ. 222, 161, 181, 202, 177.

თაც მომატებულ დღიურს არ აძლევენ, მოემატოს ჯამაგირის 25°/₀ მაღალი თანამდებობის პირთ, ხოლო დაბალი თანამდებობის პირთ—ჯამაგირის 50°/₀.

✦ ამას წინათ მიტ. ლალიძემ შეამდგომლობა აღძრა ქუთაისის ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ მოემატოს ელექტრონის ძალაზე ფასი. ქალაქის გამგეობამ ამის შესახებ შეკრიბა ცნობები და შესაძლებლად სცნო მოემატოს 7 კ. კილოვატზე.

✦ ქალაქის სანიტარულმა ექიმმა სანიტარ ჩაჩანიძის თანდასწრებით მიხეილ ბურმონოვს ეზოს უსუფთაობისათვის ოქმი შეუდგინა.

✦ კვირას, 28 თებერვალს, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა დარბაზში დანიშნული იყო ქუთაისის ახალი თეატრის ამშენებელი ბიუროს კრება, მაგრამ საკმაო წევრების დაუსწრებლობის გამო კრება არ შედგა.

✦ 26 თებერვალს, დილის 9 საათზე შემდეგი უბედურება მოხდა ტყვიბულის სადგურზე იქაური მოვაჭრე ზაქარია ლელს უცაბედად წამოეწია ორთქმავალი და გასრისა.

✦ 27 თებერვალს, ქუთაისის სახელმწიფო უძრავ ქონებათა სამართველოს დარბაზში მოხდა ქუთაისის გუბერნიის მევენახეთა და მეღვინეობის კომიტეტის კრება. კრებამ დაადგინა: გაიგზავნოს თბილისს კომიტეტის თავჯდომარე, სპეციალისტი აგრონომი ბერეკაშვილი ან კომიტეტის წევრი გუნცაძე, რომ გამოარკვიოს ქუთაისის გუბერნიისათვის საყოფი შაბიამანისა და გოგირდის რაოდენობა. კრებამ მიიღო ბ ნ კ. ბერეკაშვილის წინადადება რათა ხარისხებათ გადირჩეს ადგილობრივ დაბების ვენახების ლერწი.

თ ბ ი ლ ი ს ი.

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო" თბილისში დაარსდა ახალი გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო"; ამხანაგობას მიზნად აქვს დასახული ჟურნალ-გაზეთებისა, წიგნებისა, ბროშურებისა და სხვათა გამოცემა. ამხანაგობის ძირითადი თანხას შეადგენს 100,000 მანეთი, რომლის გადიდება, საჭიროების დაგვარად შეიძლება. სრული ამხანაგის პაი ღირს 300 მან.; ჩვეულებრივი ამხანაგისა—50 მან.

ამხანაგობა დაარსდა შემდეგ პირთა თაოსნობით: ივ. სპ. ელიაშვილი, (თბილისი), თ-დი იოსებ იულ. დადიანი (ბაქო), ნიკ. იოს. ჯაყელი (ბაქო), ლევ. ქაიხ. მამულაშვილი (ბაქო), თ-დი იასონ მერაბ. ლორთქიფანიძე (კავკავი), რაჟდენ ყარამ. დათეშიძე (ქუთაისი), გიორ. ის. პურიდაშვილი (ქუთაისი), დიმ. ზაქ. პიაბრიშვილი (პეტროგრადი), მელიქ. თევდ. ყიფშიძე, გრიგ. ზაქ. ქურდიანი, ადამ. ზურ. ბერელაშვილი, ილია მიხ. ხარაშვილი იონ. იოს. გველესიანი, სვიმ. ილარ. ფორაქაშვილი, ნიკ. გ. სესიაშვილი, მიხ. ივ. სესიაშვილი (თბილისი) და სხ.

ამხანაგობის ხელშეკრულობა მოკლე ხანში დამტკიცდება და დაიბეჭდება. ორთავე რიგის ამხანაგთა ჩაწერა დღეიდანვე შეიძლება. ფული უნდა გამოეგზავნოს გამომცემელ ამხანაგობა „საქართველოს" დროებითი გამგეობის ხაზინადრებს: ილია მიხეილის ძე ხარაშვილს, (სომხეთა ბაზარი) ან ივანეს სპირიდონის ძე ელიაშვილს (საპიორის ქ. № 11).

ფულის გამომგზავნნი მათგან მიიღებენ შესაფერ კვიტანციებს.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ გაზეთ „საქართველოს" რედაქციას (მოსკოვის ქ. № 4).

— უპურობა თბილისში. უკანასკნელ 2—3 დღის განმავლობაში ერთობ ცოტა პური ცხვება თბილისში. ზოგიერთმა მეპურეებმა მთლად შესწყვიტეს პურის ცხობა. 250 მეთორნეთაგან გუშინ მხოლოდ 20-ღა მუშაობდა. ამბობენ ზოგმა მეფურნემაც დაანება მუშაობას თავი. სადაც კი მუშაობია იქაც ცოტას აცხობენ პურს. აუარებელი ხალხი დღე და ღამ აწყდება ფურნეებს და პურის ყიდვის რიგს ელის. პურს ცოტ-ცოტას აძლევენ ხალხს, მაგრამ ბევრს ცოტაც არ ერგება ხოლმე. ბევრს ფურნეში ჩხუბი და აყალმაყალი ხდება. პური ყოვლად უვარგისია მაგრამ, მშიერი ხალხი ამითაც იკმაყოფილებს თავს, ოღონდ კი იშოვოს. თავი და თავი მიზეზი ყოველივე ამისა ის არის, რომ მეპურეები ნიხრის გადიდებას თხოულობენ და არავითარ საშუალებას არ ზოგავენ თავიანთი გაიყვანონ. გარდა ამისა თბილისში ამ ჟამად მომეტებულ ნაწილად ქერჩიდან მოტანილი ფქვილია, რომელიც, როგორც ამტკიცებენ, თორნეში არ ცხვება და მეფურნეები კიდევაც რომ ბლომად აცხობდნენ, ისინი ვერ აუთავდებიან მთელ თბილისს. გუშინ გუბერნატორს თათბირი ჰქონდა ქალაქის წარმომადგენელთან; საკითხი თუ არ მოწესრიგდა, მდგომარეობა სერიოზულ ხასიათს მიიღებს. (საქ.)

სახელმწიფო სათათბირო.

26 თებერვლის სხდომა.

წამოყენებული იყო კვლავ „ბაქოს ამბები" დეპუტატები პოლიციის და მთავრობის მოხელეთ ამტყუნებდენ არეულობის დროს ცეცხლით სასროლ იარაღის ხმარებაში, რასაც მოჰყვა ოთხი კაცის სიკვდილი და რამდენიმეს დაშავება. ამტყუნებდენ აგრეთვე ყოფილ გენერალ გუბერნატორსაც, რომელმაც ვერაფერი ვერ გააწყო მომხდარ ამბების დროს. დეპუტატებმა კვლავ წამოაყენეს საკითხი სიძვირის შესახებ, რომელიც იმპერიის ყოველ კუთხეში აღელვებს ხალხს. ამიტომ საჭირო მიღებული იქნას სათანადო ზომები. წამოყენებული იქნა აგრეთვე კანონ-პროექტი არსებულ საქალაქო წყობების რეორგანიზაციის შესახებ რაიც სათათბირომ მიიღო.

სახელმწიფო საბჭო.

26 თებერვლის სხდომა.

კოლუმბინი თავმჯდომარეობს. წაკითხული იქნა მოხსენება სრულიად რუსეთის სასოფლო მეურნეობის ყრილობის შესახებ- რომელზეც დაადგინეს ამ ომის განმავლობაში, რაც შეიძლება, მეტი ინტენსივობის გამოჩენა. საბჭოს მოხსენდა აგრეთვე, რომ სასოფლო სამეურნეო პალატა მონაწილეობას მიიღებს სავაჭრო ხელშეკრულობებსა და აგრეთვე მებრძოლ ჯარისათვის პროვიანტს დამზადებაში მოხსენებას მხარს უჭერდა გურკო.

უ ც ხ ო ე თ ი.

საყურადღებო პოლემიკა.

გერმანიის ს. დ. პრესაში ამჟამათ, გაზეთ „დენის" გადმოცემით, მეტათ საყურადღებო პოლემიკაა ატეხილი. კითხვა შეეხება პირდაპირი გადასახადების გავლენას და სახელმწიფოებრივ მონოპოლიების მნიშვნელობას. ს. დ. ცნობილი პუბლიცისტი კუნოვი იმ აზრისაა, რომ პირდაპირი გადასახადების ზრდა კაპიტალის დაგროვებას აფერხებს და ამნაირათ ეს მოვლენა კაპიტალიზმის განვითარებასაც აჩერებს, რაც საერთოდ მავნებლათ უნდა ჩაითვალოს. ამიტომ კუნოვი პირდაპირი გადასახადების გადიდების ნაცვლათ სახელმწიფოებრივ მონოპოლიების შემოღებას ამჯობინებს მისი რჩევით, ურიგო არ იქნებოდა, რომ დიპლომატიის ყურადღება მიექცია ამ კითხვისათვის და პოლონელთადმი გამამხნევებელი და აღმძვრელი სიტყვით მიემართა. დამოუკიდებელი პოლონეთის შექმნა ისე არავისთვის სასარგებლო არ იქნებოდა, როგორც რუსეთისათვის, ვინაიდან ამ სახით ახლათ შექმნილი ბუფერი—სახელმწიფო რუსეთს გერმანიის ზეგავლენისაგან სამუდამოთ დაიფარავდა.

პოლონეთის აღდგენა.

განსვენებული ჟორესის ყოფილ ორგანოში „Humuaniete"-ში ამ დღეებში, გაზეთ „დენის" გადმოცემით, სტატია იყო მოთავსებული, რომლითაც წინადადება ეძლეოდა მოკავშირეებს, რომ პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა საქვეყნოთ განაცხადონ მათ. ეს სტატია იმ მემორანდუმის გავლენის ქვეშ დაიწერა, რომლითაც—მოკავშირეებმა ბელგიის მთავრობას მიმართეს და რომლითაც აცხადებდენ, რომ მანამ არ დაყრიან იარაღს, ვიდრე ბელგიის დამოუკიდებლობა აღდგენილი არ იქნებაო.

პოლონელთ—სწერს გაზეთი—თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა სწყურიათ, იმაზე ლაპარაკი მეტია, რომ მოკავშირეების საზოგადო აზრი პოლონელების მხარეზეა. მართალია პოლონეთის ავტონომია უფრო პეტროგრადის მთავრობაზეა დამოკიდებული, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც აუცილებლათ საჭიროა რომ მოკავშირეებმა ამ საქმეში შეერთებულათ იმოქმედონ.

საჭიროა ს. დ. პარტიამ სახელმწიფოს ბევრ ახალ დარგშიაც . მონოპოლიების შემოღება და წარმოება მოითხოვოს.

ს. დ. პარტიის მთავარი ორგანო, ფორვერტი კუნოვს თუმც არ ეთანხმება ამაში, მაგრამ მონოპოლიების მნიშვნელობის შესახებ თავისი აზრის განმარტებას შემდეგისათვის გვპირდება; ახლა კი მხოლოდ იმ მოსაზრებას გამოთქვამს, რომ ვერც მონოპოლიების შემოღება აგვაშორებს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც საწარმოვო ძალთა განვითარებას ამ შემთხვევაში წინ გადაეღობება, რასაც კუნოვი ისე უფრთხის.

ის მოგება, რასაც მონოპოლია სახელმწიფოს მისცემს, დაიხარჯება არა წარმოების გაუმჯობესება—გაფართოებაზე, არამედ სულ სხვა არანაყოფიერ საქმეებზე. ამნაირათ, გაზეთის აზრით, მონოპოლიების შემოღება მდგომარეობას კიდევ უფრო გააუარესებს. პირდაპირი გადასახადების ზრდას კი სულ წინააღმდეგი შედეგი მოყვება: გადასახადების გადიდების გამო კაპიტალისტი ფუფუნებაზე ზრუნვას და არა ნაყოფიერ ხარჯებს უფრო ადრე და ადვილათ დაანებებს თავს, ვიდრე კაპიტალის დაგროვებას და წარმოების გაფართოვებას. მონოპოლიის შემოღებით კაპიტალისტთა კლასი სრულაც არ ღარიბდება, რადგან მას ერთი დარგიდან, რომელიც მონოპოლიათ გადაქცეულა, სხვა დარგებში გადააქვს თავისი კაპიტალი. რა კი კაპიტალისტი პირდაპირ გადასახადის სიმძიმეს ვერ იგრძნობს, ამიტომ იგი არც ეცდება ჩვეულებრივი ფუფუნებით ცხოვრება შეზღუდოს და არა ნაყოფიერი ხარჯები შეამციროს; ამიტომ ამ შემთხვევაში კაპიტალის დაგროვების პროცესი ორივე მხრიდან შეჩერებული იქნება.

ამასთან სახელმწიფოს ხარჯების ზრდა ომის შემდეგ უმთავრესათ ომის გამო სახელმწიფოს დავალიანებით იქნება გამოწვეული. სახელმწიფო მაშინ იძულებული იქნება კაპიტალისტებს ომის დროს აღებულ სესხში პროცენტების სახით დიდი თანხა ყოველ წლივ უხადოს. ამიტომ უფრო რიგიანი იქნებოდა, რომ სახელმწიფოს ამ პროცენტების ერთი ნაწილი კერძო კაპიტალზე გადასახადების დადებით მაინც უკანვე დაებრუნებია. ეს მით უფრო სამართლიანია, რომ ის დიდი პროცენტი, რომელიც კაპიტალისტებმა ომის დროს სახელმწიფოზე გასესხებულ თანხიდან უნდა მიიღონ, კაპიტალისტების საერთო მოგების ჯამს ძალიან მაღლა აწევს შემდეგში, რადგან ეს მოგების საერთო ნორმის გადიდებას გამოიწვევს.

კუნოვის აზრი—განაგრძობს „ფორვერტი" საფუძვლიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ დამტკიცდებოდა, რომ ამ უკანასკნელ დროს კაპიტალის დაგროვების პროცესი შესუსტდა; ნამდვილათ კი ცხოვრების შესწავლა სულ წინააღმდეგს გვიმტკიცებს.

კაპიტალების დაგროვება ამ უკანასკნელ ხანაში ომამდე ისე სწრაფი პროცესით სწარმოებდა, რომ კაპიტალისტები თავიანთ თანხების დაბანდებას ეკონომიურით ნაკლებ განვითარებულ [illegible] ცდილობდენ. სწორეთ კაპიტალისტების ეს მისწრაფება იყო იმ [illegible] პოლიტიკის მექანიზ[illegible] როპა დღევანდელ მსოფლიო ომამდე მიიყვანა. (დ.)

სასულიერო მართვა-გამგეობა ჩვენში.

XI.

ცხოვრება—ეს იგივე ცვალებადობათა პროცესია. ყოველივე რაც კი რამ ცხოვრობს, კიდეც მოძრაობს, იღწვის, შრომობს, ცოცხლობს ხარობს, წინ მიიწევს და, ვითარდება და ამ განვითარებით გამოხატავს თავის არსებობას. უამისოთ, სიცოცხლე მოდუნდებოდა, ცხოვრება გაიყინებოდა და სიკვდილს დაემგზავსებოდა. რაკი ცხოვრება ზრდა-განვითარებასა და წინსვლაში გამოიხატება, მისი გარეგანი გამოხატულება იცვლება ხოლმე და ერთი და იგივე გარეგანი ფორმა, ერთი და იგივე სახე ყოველთვის ვერ იხეირებს, ვერ იჭარმოებს, ვერ გამოდგება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ცხოვრებას, მის შინაარს ვერ დაიტევს და კატასტროფა, მარცხი მოელის მას; ის უნდა გასკდეს, გაირღვეს და ახალი სახე, ახალი გამოხატულება მიიღოს. ასეთია წინსვლის, პროგრესის თვისება და კანონი.

ამ კანონს, როგორც ყოველი გონიერი არსება, სამღვდელოებაც გვერდს ვერ აუვლის, ვერ აცდება. სამღვდელოება თვით ცხოვრებამ, მისმა მოთხოვნილებამ და საჭიროებამ წარმოშვა და სანამ ეს საჭიროება არის, მას არსებობის უფლებაც აქვს. მაგრამ სულ სხვაა მასთან დამოკიდებულების, მასთან განწყობილების შესახებ ლაპარაკი.

ეს დამოკიდებულება თუ დღეს ასეთია, ხვალ შეიძლება სულ სხვაგვარი შეიქნეს დროებისა და გარემოების მიხედვით.

ქრისტიანობის პირველ ხანებში ეს დამოკიდებულობა მეტად სადა და მამაშვილური იყო. თითქმის ერთ განუყრელ, ერთ განუყოფელ ოჯახს შეადგენდა მწყემსი და სამწყსო. ასე გასინჯეთ, ტრაპეზიც კი ერთი, განუყოფელი ჰქონდათ. ლოცვა-ლოცვის შემდეგ ისინი იქვე, სენაკში გაშლიდენ ხოლმე საერთო სუფრას და ძმურათ მიუსხდებოდენ მას. მღვდელი და ერი, დიაკვანი და მნათე—ყველანი ერთნაირის, თანასწორის უფლებით სარგებლობდენ ამ ტრაპეზის, თუმცა სეფის კვერი და სხვა მისი ყოველივე სანოვაგე მარტო ერთს მიჰქონდა, ასე რომ, თუ ერთი სულიერათ ასაზრდოებდა, მეორე ამის ნაცვლად აპურებდა მას. მაგრამ როგორც კი ქრისტეანეთა რიცხვი გაიზარდა და გარემოება შეიცვალა საერთო ტრაპეზიც შეუძლებელი შეიქნა, მისი არსებობა შეუძლებელი გახდა ამის ნაცვლათ მწყემსს სამწყსომ სხვა გვარი ულუფა გაუჩინა, სარჩო მისცა, წლის მოსავლიდან წილი დაუდო, რადგანაც ხალხი ეს ისეთი არსებაა, რომელსაც სხვისი არა უნდა რა მუქთად. ამიტომ მან თავის მოძღვარს, მასწავლებელს წილი დაუდვა: პურშიც და ღვინოშიც, ცხოველშიც და ფრინველშიც ტან-ფეხშიც და ჩასაცვამ დასახურავშიც ხორაგის სახით. და ეს ხდება იმ დროს, როცა ყოველი ოჯახი ყოველ საჭირო სანოვაგეს და ნივთის თვითონ იწევს, თვითონ იქსოვ-იკერავს და გარედან ათასში ერთხელ თუ რამეს შემოიტანს და ისიც რაც მას არ მოეპოვება, არ მოეძებნება, როგორც, მაგალითათ, მარილი და სხვა ამგვარი რამ. მაგრამ როცა ცხოვრება წინ მიდის და ნატურალურ წარმოებას კაპიტალისტური ცვლის, ერთი სიტყვით, როცა ყველაფერი ფულით იზომება, ყველგან ფულის საჭიროება სჭარბობს, ფული აუცილებელი ხდება და ამ დროს მოთხოვნილებაც იზრდება, მატულობს. მისი დასაკმაყოფილებლათ საჭიროა შრომის განაყოფიერება, რომ მასგან მეტი გამოიღონ, მეტს გამორჩეს. ამის გამო შემოდის წარმოების სხვა და სხვა დარგში სპეციალობა. ყოველი კაცი ყოველი ოჯახი, თუ საზოგადოება ერთ ან ორ თავ მისთვის საჭირო რამეს აწარმოებს, იწევს და აქედან ნაწილს თვითონ მწარმოებელი ხმარობს საზრდოთ და დანარჩენი კი უნდა ფულათ აქციოს, რომ სხვა მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს, ასე რომ ამ ფულით მღვდელსაც ისტუმრებს და ერსაც. ამ გვარათ ცხოვრებაში შემოდის ის გადასახადი რომელსაც დრამა ეწოდება და რომლის გარშემო ჩვენს ამდენი აურზაურია ატეხილი. მაგრამ ჩვენმა სასულიერო მთავრობამ ამდენი უნარი ვერ გამოიჩინა, რომ ეს საქმე ისე მოეგვარებია, რომ ეს დავიდარაბა სამღვდე

ნის დევ-კაცობისა, როდესაც მეფე ლირსავით თავშიშველი ქარიშხალ სეტყვა კორიანტელის დროს ეულად გაჭრილა ველ-მინდორზე და ცას უღვის საბრძოლველად:

„დამსეტყვეს, ცაო, დამსეტყვეს,
აქა ვერ ჩემი თავითა,
გულითა გაუტეხელი,
მოუდალავი მკლავითა.
რაც უნდა ჭირი მომკვრძო,
ბილწთ არ შევეკვრი ზავითა,
მცნებას ვერ შემაცვლევინებს
მოზღვავებულის ავითა.

. . . .

იგი იმოწმებს მთასა და ბარს, აფიცებს, გულის ფიცარზე დაიწერონ მისი ნათქვამი რომ იგი არ გასტეხს თავის სიტყვას, „წამწყმებით დაიკვრეთ ჩემი სიტყვები, რომ კვლავ

„... მტერი ვარ იმისა,
ვისაც დღესნამდე ვმტერობდი,
იმავეს მიყვარს, იგივე,
ვისაც ამ სოფლად ვმოყვრობდიო."*

ვაჟა მზადაა ყოველგვარი შხამი გამოსცალოს, რისხვის ჭირცეცხლი გადიტანოს, მაგრამ „ცნებათ" კი არ უღალატოს. იგი „მქვარტლიან ჩონგურით" შესძახავს მთა-ბარს, იმღერებს მას, რაც „დღესნამდე დაუმღერია", მაგრამ „ბილწებს" კი არასოდეს, ზავით არ შეეკვრის. არავითარი კომპრომისი, არავითარი შიში და კრძალვა! ვაჟა მინდიას სახით „გველს შეჭამს", ოღონდ ჩანგლის საიდუმლო მასალები, ოღონდ გრძნეულებანი შეჰბოჭოს და გულში ჩასწვდეს საჯოჯოხეთო გამოცანას, თუ ვით შეიძლების „ბახტრიონის" წამოქცევა მის სახლის დასახსნელად, იმ კეკლუც ეთერის გასანთავისუფლებლად, ვინც ამდენს ალეგორიების უნარსა ჰმატებს და ვის სახელწოდებაც საქართველოდ—იხსნიება!

ნუ იფიქრებთ, რახანც ვაჟა „ბილწებს" არ ეკვრის ზავითა, მას ჰსურდეს მათზე გაბატონება. არა, ვაჟა ლაღი მთის შვილია, და ამ უკადრისობაზე არასოდეს დასდებდა თავსა. მას მხოლოდ თავისი წყლულების მორჩენა ჰსურს, საკუთარ არის განკურნება.

ან რა დროს ასეთი აგრესიული პოლიტიკაა, როდესაც საქართველო მოჭრილ მუხის ძირს დაემზგავსა, რომელიც ნელ-ნელ ნიადაგს სცილდება და უუსკრულისკენ მიექანება? ვაჟამ ეს მძიმე და აუტანელი მდგომარეობა დაგვიხატა გამხმარი, თითქმის უსიცოცხლო „ფესვების" სიმბოლიური სურათით, რომელნიც მოჭრილ მუხის ძირას ამოცოცებულად მაღლა და თვით გულითად მწყემსაც კი შიშს ჰგვრიან, როგორც კლდის თავზე გადმოწოლილი გველები. ხომ გახსოვთ ამ საბრალო „ფესვების" მოთქმა? თუ არა, გამახსენებთ: სიკვდილის მოლოდინში იგინი დღე და ღამ ჰგოდებენ, დღედაღამ მოსთქვამენ უბედურობას. მათ ეწანებათ, რომ შორდებიან იმ ადგილს, საცა დაიბადნენ, საცა სიცოცხლე იგრძნეს. „ვინიცის, რა მოგველის,—ამბობენ გულ ამოკვნესით,—დღითი დღე ჩვენი ბინა ინგრევა, იშლება, ფლატე კვდება და უსახურავონი ვრჩებით, ტიტველნი და მშიერნი. ბოლოს მოვწყდებით და წავალთ თავქვე, ჩავეშვებით ღრანს, ხევში. ვინ იცის, იქ რა მოგველის? ვინ იცის, იქ რა ნიადაგი დაგვხვდება? დავიხოცებით სრულიად თუ კიდევ მიწა დაგვფარავს და გვიჩვენებს საზრდოს?! ვინ იცის, იქნებ გიჟმაჟმა მდინარემ გაგვრიყოს სადმე უდაბურს ადგილსა დაგწვდავს მზის სხივებმა დაგვიჭკნოს, გაგვახმოს, გაჰქროს ჩვენი ხსენება!" განა ასეთს საბრალო ნაშთს ოდესმე მძლავრ მუხა—საქართველოისას ეხლა რაიმე აგრესიული პოლიტიკის წარმოება შეუძლიან? არა, ვაჟა ამისთვის როდი განგვიმზადებს. არც სატირლად მოგვიხმობს. იგი უწინარეს ყოვლისა გვეიმღებს, რომ მთლად არ წავმხდარვართ, ავდგებით, რომ ეს „ფესვები" კვლავ ღრმად მოვჯდებით სამშობლო ედემის გულში და ავცენდებით, ახლად გავზრდით ახალგაზრდა საქართველოს სანუკვით სახებას—ახალს მუხას! აი, ამ იმედით გვამხნევებს ვაჟა ყველას, უკანასკნელ ძალღონის მოკრებას გვიკიჟინებს, არა სხვათა დასაპყრობად, არამედ საკუთარ თვის დასაცველად.

„რომ შიშს ვუგდებდეთ გულშია.
მეზობელს მეტიჩარასა,
არ ვაქელვინოთ სამშობლო
მეტოქეს ათასგვარსა—ო!" *)

ვაჟა ვით აჯანყებული ანგელოზი, შიშველი მახვილით სდგას თავის სამოთხე სახატისკართან, სადაც ცხრა-თავა ვეშაპი მძვინვარებს და ნებას არ აძლევს მას სანუკვარი სახატე დაიბრუნოს. რამდენადაც მონობამ დასცა და შეურაცხჰყო სამშობლო მისი, იმდენად ამაყი და ზვიადია ვაჟა. იგი გამხნევებს, იერიქონის სიტყვით გვასმენს, რომ საქართველო მთლად არ წამხდარა, რომ ქართველნი, ეს საცოდავად მოწყვეტილი მუხის „ფესვები" სიცოცხლის მაჯის ცემას განაგრძობენ, რომ ჩვენი სულიერი ძალა არაა მთლად ამოწურული და გამქრალი, რომ ჩვენც აღვმაღლდებით, რომ ჩვენც გავხდებით ვაჟას სანუკვარ წინაპართა სახელის ღირსი, ეს იმ წინაპართა სახელის ღირსი, რომელნიც სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობას, როგორც სუვერენ კანონმდებლობას, თავიანთ ნებისა და მოქმედების პრინციპად იხდიდნენ და ვაჟასთან ერთად მთელს ქვეყნიერებას აუწყებდნენ ამ ჰუმანიურ ცნების ანდერძს:

„სამშობლოს არვის წავართმევთ, *)
ნურაც ჩვენსას გვეცილებიან!."

დ. კასრაძე.

---

*) ცრემლები, 171—172.

*) „ცრემლები" გვ. 203

*) „ცრემლები" გვ. 204.

ლოცვებისათვის თავიდან აეცილებია. სანამ ამ დრამის ფულის ბოქვა თვითონ სამღვდელოების ხელში იყო, მის შესახებ ამდენი საყვედური არ ისმოდა, რადგანაც მღვდელი შინაურულათ, მშვიდობიანათ ახერხებდა მის აკრეფას. მაგრამ როგორც კი ამ ფულის მოგროვება ადმინისტრაციის ხელში გადავიდა, მან ისე უხერხულათ დააყენა საქმე, რომ ამის გამო ჯამის მღვდელი კი არა ღმერთიც შეძულდეს ხალხს. სოფლის მოხელეები ჯერ მღვდლების კრებდენ ხარკს და დრამის ხაზინაში აგზავნიდენ და მერმე ლარიბებიდან იმავე ხარკს დრამის ფულის სახით და რადგანაც ამათ თავის დროზე ვერ შეჰქონდათ გადასახადი ართმევდენ ოჯახის სამკაულს და სახმარო ვაჭრობით ოხრის ფასათ უყიდიდენ ვითომ მღვდლის მიზეზით და ამ გვარათ აწიოკებდენ მათ, თუმცა დრამა უმნიშვნელო ნაწილის შეადგენდა მათი გადასახადისას, მაგრამ ესენი რადგანაც მღვდლისათვის იყვნენ ჩამოტოვებულნი, მათ აწიოკებასაც ამას აბრალებდენ რასაკვირველია ასეთ პირობებში შეუგნებელი ხალხი ვერ ხვდებოდა მათი აწიოკების ნამდვილი მიზეზი და ისინიც მღვდელზე იყრიდენ ხოლმე ჯავრს. ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ ხალხს მღვდელი შეძულებოდა! ისიც კი ვერ მოახერხა, რომ, თუ თვითონ სხვა რამ ახალი საშვალებას ვერ შექმნიდა, ჩვენივე მოძმე ქართველი კათოლიკებისაგან მაინც გადმოეღო და მათთვის მიებაძნა ამ საქმეში. მათში მღვდელს საქმე არა აქვს ხალხთან ფულის შესახებ. მრევლი თვითონ განაგებს სამზრუნველოების საშუალებით ეკლესიასა და კრებულის შემოსავალ-გასავალს. ჩვენში კი საცოდავი მრევლი ტყავს იძრობს, ეკლესიას აშენებს და მერე მის შემოსავალს ვინ ანიავებს არ იცის. ხალხიც ამაზე ამბობს უპატრონო ეკლესიას ეშმაკები შეესიაო. როცა ამ ათიოდე წლის წინეთ ჩვენმა სამღვდელოებამ ხმა ამოიღო ამის შესახებ მას ბურთი პირში ჩაჩრეს დღეს თვით მთავრობისაც შეუგნია ეს უხერხულობა და საზოგადო რუსეთში სამრევლოების შესახებ წრეფორმების მოხდენას. მაგრამ როგორ და რა სახით [illegible] მალე [illegible], რა იქნება.

ძე—ზი.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 27 თებერ. დღის ცნობა. მდ. ენის ჩრდილოეთით, გერმანელებმა რამდენსამე საათის განმავლობაში ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს ფრანგების პოზიციებს ტრუაიენსა და ბერიობაკს შუა და შემდეგ ვილბუასთან იერიში მიიტანეს მაღლობზე, რომელიც ფრანგების ხაზისგან იყო შემდგარი ლებიუს ტყესთან. გაცხარებული ბრძოლის შემდეგ ფრანგებმა უკუაქციეს გერმანელები ამ ტყის ჩრდილო-დასავლეთ კუთხიდან და დასავლეთ ცგზოს იმ ნაწილიდან, რომელიც მათ წინათ დაიკავეს. მაასის დასავლეთ ნაპირზე გერმანელებმა იერიშები გააცხოველეს ფრანგების თხრილების წინააღმდეგ, რომელიც მდებარეობს ბეშანკურ-შტანკურის გზის გასწვრივ. ფრანგებმა კონტრიერიშით უკან დაიბრუნეს გერმანელების მიერ დაკავებული თხრილები.

მაასის აღმოსავლეთით გერმანელებმა არტილერიის ცეცხლი გააორკეცეს, სოფლისა და ფერდოებზე მდებარე ფორტს შუა საარტილერიო სროლა მთელი ღამის განმავლობაში სწარმოებდა, ამასთანავე ქვეითა ჯარს მრავალი იერიში მიქონდა ყუმბარებისაგან განადგურებულ სოფელზე. გერმანელებმა სოფლის რამდენიმე სახლი ხელში ჩაიგდეს, ეკლესიის აღმოსავლეთით და ამასთანავე შეეცადენ სოფლის დასავლეთ ნაწილის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ამაოთ. გერმანელებმა მაინც შესძლეს ცოტა მანძილზე წინ წაწევა. გერმანელები შეეცადენ აგრეთვე ფრანგთა ფორტის წინ გაკეთებულ მავთულიან ხლართებამდი მიღწევას, მაგრამ ვერ შესძლეს. ლოტარინგიაში ფრანგთა არტილერიამ სერიოზული ზიანი მიაყენა გერმანელების სიმაგრეებს აუბრმენილის მახლობლათ. ვოგეზებში ფრანგთა ბატარეა მარჯვეთ მოქმედებდა ტურსკის ქალაში ტანის აღმოსავლეთით.

იურიევი. 28 თებერვალი (დორპატი). უნივერსიტეტის საბჭომ ერთხმად დაადგინა, თუ ვინიცობაა საჭიროებამ მოითხოვოს, დორპატის უნივერსიტეტი გადაიტანონ ეკატერინოსლავში.

ნიჟნ ნოვგოროდი. გზათა მიმოსვლის მინისტრმა 500 მ. დააჯარიმა ერთი რკინის გზის მოხელე, რომელიც რკინის გზაზე უწესოებას ხელს უწყობდა.

ბუქარესტი. 27 თებერვალი სოფიიდან ცნობაა, რადოსლავოვის პარტიაზე ყველა რუსოფილები მის მეთაურ ცნობილ დანევთან ერთად სამხედრო სასამართლოში მიუციათ. მათ აბრალებენ ჯაშუშობას. გასამართლების პროცესი მოხდება ამავე თვეში.

აგრეთვე ბულგარეთის მთავრობამ აკრძალა ფრანგული ენა მის მაგივრად შემოღებულ იქნება გერმანული.

პარიზი. 27 თებერვალი. ბელგიის ასპარეზი დიქსმიუდესთან საარტილერიო ბრძოლა გრძელდებოდა. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

რომი. იტალია-გერმანიის ასპარეზზე კვლავ თოვლი მოდის. ასტოკის მიმართულებით გერმანელებმა იტალიელებს შეუტიეს, მაგრამ უშედეგოთ. მდინარე იზონცოს ქვემო ნაწილში გერმანელებმა საარტილერიო სროლა გააჩაღეს, რასაც იტალიელებიც მამაცურად უპასუხებდენ.

ლონდონი. 26 თებერვალი გუშინ ინგლისის საჰაერო რაზმმა, რომელიც შესდგებოდა 31 კაცისგან ჰოჰენცოლერთა რედუტთან ყუმბარები ჩამოჰყარა და გერმანელებს დიდი ზარალი მიაყენა.

მესოპოტამიაში. ინგლისის საექსპედიციო კორპუსის კომანდირი აცნობებს ინგლისის მთავარ შტაბს: 24 თებერვლიდან გრძელდებოდა მდ. ტიგრის მეორე ნაპირზე წინ სვლა, მაგრამ უწყლობამ ჯარს ხელი შეუშალა და იძულებული შევიქენით შევჩერებულიყავითო.

თეირანი. სპარსეთის მთავრობაში [illegible]ბი, მიუხედავათ რუსთა ჯარის გამარჯვებისა, მაინც არ სცხრებიან. ისპაჰანის მახლობლად მეამბოხეთა რაზმი გამოჩენილა.

[illegible]. 26 თებერვალი. იუწყებიან, რომ ოსმალ-ბულგარეთ--გერმანელთა შორის თანდათან ფეხს იკიდებს უთანხმოება. ოსმალნი მოითხოვენ ევროპის ლაშქრის მთლად კავკასიის ფრონტისკენ გადმოყვანას, რასაც გერმანელ ბულგარები არ ეთანხმებიან.

კოპენჰაგენი. 27 თებერვალი. როგორც კოპენჰაგენიდან იუწყებიან, ავსტრიის სამხედრო სამინისტროს განკარგულება გამოუცია. განკარგულების ძალით, ის პირნი, რომელნიც ბრძოლის ველზე გამოუსადეგარნი არიან, ჩიწვეულ იქნებიან სხვა და სხვა დაწესებულების კანცელარიებში სამუდამოდ.

პეტროგრადი. მინისტრთა სამედიცინო საბჭომ დაადგინა რუსეთის ყველა ქვეშევრდომი ფარმაცევტები გათანასწორებულ იქნას მოქალაქობრივ უფლებაში -ჰელსინგფორსის უნივერსიტეტის ფარმაცევტებთან.

ნიუ-იორკი. 25 თებერვალი. კოლუმბუსიდან ახალ მექსიკას ატყობინებენ, რომ 500 ბანდიტი ვილიას მომხრე დილით ადრე შეიჭრა ქალაქში და მოქალაქეთა უმრავლესობა ამოჟლიტა საათ ნახევრის განმავლობაში. ქალაქი ბანდიტების ხელში იყო, ვიდრე ამერიკის კავალერია მივიდოდა, შემდეგ კი უკან დაიხიეს. ქალაქი შიშმა მოიცვა დახოცილები არიან მექსიკელები და ამერიკელი ჯარის კაცები.

მოსკოვი. დაარსდა ინვალიდთა დამხმარე საზოგადოება, რომლის მიზანიც არის ინვალიდები შრომის მოყვარე მოქალაქეებათ გახადონ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. მასწავლებელთა დამხმარე საზოგადო კრებამ დაისახა მიზნათ ხელი შეუწყოს სკოლის ცხოვრების გაუმჯობესობას გუბერნიაში. ამის სისრულეში მოსაყვანათ ამორჩია სასკოლო კომისიები, რომელნიც უმთავრეს ყურადღებას მიაქცევენ მოსწავლეთა საზოგადო განვითარებას და სამასწავლებლო სემინარიისა და საშუალო სასწავლებლების კურსის გაფართოებას.

მოწაფეთა საყურადღებოთ.

საზოგადოთ ჩვენ ქართველები ყველა დარგში ჩამორჩენილები ვართ. ცხადია, ჩვენ უნდა ვეცადნეთ და გავაკეთოთ ის მაინც, რის გაკეთებაც შეგვიძლია.

ქართველ მოწაფეთ ახალგაზრდობას ხშირათ გვიკიჟინებენ, რომ ჩვენ ქართველური არაფერი არ გვწამს და ქართულათ არ ვაზროვნებთ სიმართლე ვსთქვათ, ამაში ჩვენ მოსწავლეებს იმდენი ბრალი არ მიგვიძღვის, რამდენიც ჩვენს უფროსებს.

მოსწავლე იძულებულია, საჭირო ქართული სახელმძღვანელოს უქონლობის გამო, რუსულს მიმართოს... ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის გარემოებაც რომ ქუთაისში იყიდება ათასზე მეტი რუსული უბის წიგნაკი: „Товарищъ", „Порядокъ", „Другъ учащихся". და სხვა ასე ხდება საქართველოს სხვა დაბა ქალაქებშიც ამისთვის ჩვენ განვიზრახეთ შევადგინოთ და გამოვსცეთ **ქართული უბის წიგნაკი „მოწაფის დღიური"**. წიგნში იქნება ორი განყოფილება; პირველ განყოფილებაში მოთავსებული იქნება სურათები შოთასი ილიასი და აკაკის დავით აღმაშენებლის, თამარის, ერეკლე მეორის ქართველ მხატვრები, ვლ. მესხიშვილის, ნინო ჩხეიძის და ვასო აბაშიძის. წიგნში მოთავსებული იქნება საქართველოს რუქა.

საჭირო ცნობანი, ქართული ლიტერატურიდან თეატრიდან, ხელოვნებიდან, მუსიკიდან და სხვა. ქართველ მეფეთა და მწერალთა ქრონოლოგია, ქართული ენის მართლწერა უცხო სიტყვათა ლექსიკონი და სხვადასხვა.

მეორე განყოფილებაში კი იქნება „მოწაფის დღიური", სადაც ჩაიწერება ყოველგვარი შენიშვნები, გაკვეთილების სია, მოწაფეთა სია და სხვა რადგანაც ამგვარი გამოცემა პირველია და როგორც ასეთი შეიძლება სუსტი გამოდგეს, ჩვენ ვეცდებით, რომ იგი შეძლების და გვარათ ვრცელი და უნაკლულო იყოს. ამიტომ საჭიროა ყველა, დაგვეხმაროს [illegible] ცნობის მოწოდებაში და [illegible] ლებაში. [illegible] ყველას, ვისაც კი ეს საქმე აინტერესებს, უმთავრესად ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას, გვაცნობონ თავისი მოსაზრებანი გაზეთის საშუალებით, რითაც დიდათ დაგვავალებს, რადგანაც ჩვენ მათი შენიშვნებით ვიხელმძღვანელებთ „დღიურის" შედგენის დროს.

იმედია, მოსწავლე ახალგაზრდობა გამოგვეხმაურება ჩვენს მოწოდებაზე და დახმარებას გაგვიწევს ამ საქმის მოგვარებაში. ვიმედოვნებთ, დაინტერესებული პირები თავის აზრს გაზეთის საშუალებით გაგვიზიარებენ, რადგანაც, ვფიქრობთ, ეს განზრახვა მაინც და მაინც ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. ყოველივე შენიშვნა და შეკითხვა გთხოვთ გამოგზავნოთ ამ მისამართით: ქუთაისი. ქართული გიმნაზია. ილია ბერიძეს.

ქართული გიმნაზიის მოსწავლე **ილია ბერიძე.**

პროვინციის ცხოვრება.

ს. ითხვისი. (ზემო იმერეთი). 15 თებერვალს, ითხვისის სკოლის შენობაში მოხდა ითხვისის საკრედიტო ამხანაგობის წლიური მორიგი კრება შორაპნის მაზრის წვრილი კრედიტის ინსპექტორის ნიჟარაძის თანდასწრებით. თავმჯდომარის არჩევის შემდეგ გამგეობის თავჯდომარემ, დეკანოზმა იოსებ წერეთელმა, კრებას მოახსენა 1915 წლ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

ზემოხსენებულ ამხანაგობას დაუწყია მოქმედება 1 მარტს 1913 წელ. ამხანაგობის გახსნის დროს მხოლოდ 22 წევრი ყოფილა 6000 მ. კრედიტით, აქედან 3000 მ. გრძელ—ვადიანი, ხოლო 3000 მ. მოკლევადიანი. 1916 წ. 1 იანვრისათვის წევრთა რიცხვი ასულა 458-დი, 23933 კრედიტით. საანგარიშო წელში წარმოება ყოფილა (оборотъ), 30,499 მან. პირველ იანვრისათვის, პასსივი პაის ფული 1998 მ. 20 კ., საკუთარი 124 მ. 85 კ., გრძელ—ვადიანი—3000 მ. სათადარიგო თანხა—92 მ. 59 კ., შაპიამნის ბე—1263 მ. 35 კ., მობარებული—401 მ. 60 კ., მოკლე ვადიანი—10068 მ. 80 კ., მოგება—1915 წლის. 1018 მ. 68 კ., სრულიად—17,968 მ. 7 კ., აქტივი: ფასიანი ბილეთები—1621 მ. 90 კ., გაცემული სესხი—16,044 მ. ქონება—207 მ. 92 კ., და სრულიად—17873 მ. 82 კ., ნაღდი პირველ იანვრისათვის 1916 წლისა—94 მ. 25 კ., ბალანსი—17968 მ. 7 კ.

კრებამ მოგება ამნაირათ გაანაწილა: 400 მ. მიუმატა საკუთარ თანხას, 200 მ. ძირითად თანხას, 210 მ. გამგეობის სამ წევრს, 25 მ. „სინათლის" საზოგადოებას, 30 მ. ქორითის საზოგადოების ოთხ სკოლას „ნაკადულის" გამოსაწერათ, 30 მ. ხსენებული სკოლების ულარიბეს მოწაფეთა დასარიგებლათ, 25 მ. აჭარელთა სასარგებლოთ, დანარჩენი მიუმატა ძირითად თანხას.

1916 წ. ხარჯთაღრიცხვა: გამგეობის საბჭოს და სხვა წვრილმან ხარჯთა დასაფარავად კრებამ გადასდვა 660 მ.

გამგეობის თავმჯდომარე **დეკანოზი ი. წერეთელი.**

პასუხათ ბ-ს სამსონ გოგერიას.

ბ. სამსონ! მე თქვენ წამოგიყენეთ შემდეგი ბრალდება: 1) თქვენ მოუსპეთ ობლებს თქვენი მაღაზიის შემოსავლის ერთი მეექვსედი ნაწილი, რომელიც მათ ეკუთნოდა; 2) თქვენთან დარჩენილი ობლების სამასი თუმნით არ დაიხსენით ბანკიდან სახლი, თვითონ დაიტოვეთ თავის სასარგებლოთ და ობლებს აძლევდით მხოლოდ ოთხს ხუთს პროცენტს, მაშინ როდესაც თვითონ ობლებს ბანკი ბევრად უფრო მეტს აძლევინებს და ამ სამასი თუმნიდან ნაწილ-ნაწილათ შეაჭამეთ და ყაბლა ნახევარზე დააყენეთ მათი ფული ამ ფულითაც გინდათ ძველებურად განაგრძოთ, კი ობლებს ოთხი ხუთი პროცენტი აძლიოთ თვითონ კი რამოდენიმეჯერ მეტი პროცენტი აიღოთ. 3) თქვენ მიჰყიდეთ გაუყოფელი მამულის ერთი კიდელი მოსაზღვრე რაჭიაშვილს და ამ ფულიდან ობლებს არაფერი არგეთ. 4) ხუმად გამოიყვანეთ და ობლებს მამული გაუფუჭეთ ეზოში შესავალი საურმე გზა მოუსპეთ.

ბრალდება, როგორც ხედავთ, საკმაოთ მძიმე და [illegible] ნი ადამიანი ეცდებოდა თავი გაემართლებინა, ყოველივე ეჭვის გასაფანტავად თვითონ მოითხოვდა საქმე სამედიატორო სასამართლოს გაერჩია, მაგრამ თქვენ ეს არ ინებეთ, პირიქით, გაურბით კიდეც ამ სასამართლოს. თუ არ გეწყინება, მაშ რა უწოდოთ თქვენ მიერ ხუთასი მანეთის მოთხოვნას ეს ბ. სამსონ, როგორც რუსები იტყვიან, „ОТВОДЪ" და, სხვა არაფერი. თქვენ, რასაკვირველია, ობლებისაგან აღებულ ფულიდან თამამათ შეგიძლიათ ხუთასი მანეთზე მეტიც გაიღოთ, ამით რომ თქვენს საკუთარ კაპიტალს არაფერი დააკლდება! მაგრამ მე რომელი თანხიდან უნდა გავიღო ეს ხუთასი მანეთი, ან რისთვის პირადათ [illegible] ნათან გასაყოფი არაფერი მაქვს! მე [illegible] პრავებს მხოლოდ [illegible] სხვა არაფერი [illegible] უსაფუძვლოც, რომ იყოს თქვენ მაინც სამართლის გამოსარკვევად ხელობრივად [illegible] ვალე ხართ ყოველივე პირობის [illegible] სამართალში გამომყვეთ.

თუ თქვენ კიდევ თქვენებურად ОТВОДЪ-ით მოინდომებთ სამართლიდან თავის დაძვრენას და ობლებს არ დააკმაყოფილებთ 1) არ მისცემთ მათ გაყიდული კიდელის ხვედრ წილს; 2) ეზოს არ გადაუღობავთ და გზას არ დაუკავებთ მათ; 3) არ მისცემთ სამასი თუმნის იმდენსავე პროცენტს, რასაც ობლებს ბანკი აძლევინებს და 4) დარჩენილ ფულს არ ჩააბარებთ ობლებს, რომ ამ ფულით მათ ბანკიდან სახლი გამოიხსნან მე იძულებული ვიქნები სხვა ზომას მივმართო.

ობლების ბიძა **სპირიდონ ბოლქვაძე.**

შემოწირულობა.

ბაგრატის ტაძრის ნაშთის დაცვის სასარგებლოთ გიმნაზიის მასწავლებელ რიგოლ გველესიანისაგან მივიღეთ სამი მანეთი, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნით.

აწ. გორგაძე.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო".

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

ტფილისიდან	დილის	5 ს.	50 წ.
"	საღამ.	6 ს.	57 წ.
ბათომიდან	დილით	1 ს.	25 წ.
"	ღამის	2 ს.	23 წ.
ფოთიდან	დილის	10 ს.	8 წ.
ტყიბულიდან	საღამოს	7 ს.	39 წ.
შორაპნიდან	დილის	9 ს.	18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

ტფილისისაკენ	დილის	11 ს.	55 წ.
"	ღამის	1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	დილით	5 ს.	30 —
"	დილის	4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	დილით	4 ს.	27 წ.
ტყიბულისკენ	დილის	6 ს.	20 წ.
შორაპნისაკენ	დილით.	5 ს.	—

ქუთაისი.
ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში
(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).
მიღებულია ვენახის ასაკრავი საუკ თელ
ჭილი.
აქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეო საქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია.

სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებული საშუალებების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ. სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარ შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს, რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების მხედველობის და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიდ სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. სიყალბის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 5 მან. წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ. (წლიური)